ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:ო97. 9725244001
თარიღი:01/09/2025

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი N-12 სხდომის

ოქმი

დ. ლენტეხი. 21/ აგვისტო/2025წ

მიმდინარე წლის 21 აგვისტოს დღის 12 საათზე გაიმართა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დავით პირველი. სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 13 (ცამეტი) წევრი.

მოწვეული სტუმრებიდან სხდომას ესწრებოდნენ: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე, არქიტექტურის და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის მოადგილე დემური ლიპარტელიანი, ა(ა) ი.პ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი ბესო გაზდელიანი.

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს აპარატის უფროსი მაყვალა ჩანქსელიანი.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1.ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ.

/მომხს: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე მარეხი ონიანი/

2.,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ '' ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 აპრილის N-24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს: სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმ-რე თორნიკე გასვიანი/

3. ,,2025 წლისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ" ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N- 18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს: მერიის ადმინისტრაციის სამსახურის უფროსი სოზარ ბენდელიანი//

4. ,,**ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – განათლების, კულტურის, სპორტის განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ .''**

/მომხს: მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე/

5. ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ ''ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 სექტემბრის N-16 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

/მომსხ: მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე/

6. ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28-თებერვლის N-7 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

/მომხს: მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე/

აზრი გამოთქვა: საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ სოსო ავალიანმა. მერიიდან დამატებით შემოსულია საკითხი - ,, 2025 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 20 თებერვლის N-ბ-97250511 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ". ეს საკითხი უნდა დაემატოს დღის წესრიგს.

საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ ყოფილა.

დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების მიზნით ჩატარდა ღია კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგით:

მომხრე -13

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: დამტკიცდეს სხდომის დღის წესრიგი შემდეგი სახით:

1.ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ.

/მომხს: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე მარეხი ონიანი/

2.,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ '' ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 აპრილის N-24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს: სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმ-რე თორნიკე გასვიანი/

3. ,,2025 წლისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ" ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N- 18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს: მერიის ადმინისტრაციის სამსახურის უფროსი სოზარ ბენდელიანი//

4. ,,**ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – განათლების, კულტურის, სპორტის განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ .''**

/მომხს: მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე/

5. ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ ''ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 სექტემბრის N-16 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

/მომსხ: მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე/

6. ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28-თებერვლის N-7 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

/მომხს: მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე/

7. **,, 2025 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 20 თებერვლის N-ბ-97250511 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.**

/მომხს: მერიის არქიტექტურის და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის მოადგილე დემური ლიპარტელიანი/

1. **მოიმინეს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ მარეხი ონიანმა სხდომის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი - ,,ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ.“**

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ უქმდება გენდერული საბჭო და იქმნება ,,ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭო. დადგენილების პროექტის თანახმად:

.ლენტეხის მუნიციპალიტეტში ქალთა და ბავშვთა საკითხებზე სისტემური მუშაობისა და საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილ ქალისა და მამაკაცის თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად შეიქმნას ლენტეხის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭო.

მუხლი 2. დამტკიცდეს ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს დებულება დანართის შესაბამისად.

მუხლი 3 ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21-სექტემბრის N-16 (www.matsne.gov.ge 010250050.35.115.016228 25/09/2017 წ.) დადგენილება .

შენიშვნა დადგენილების პროექტთან დაკავშირებით არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ დადგენილების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

კენჭისყრის შედეგით:

მომხრე - 13

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: დამტკიცდეს დამტკიცდეს ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს დებულება დანართის შესაბამისად.

2. **მოისმინეს: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ თორნიკე გასვიანმა სხდომის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი: ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ ‘’ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 აპრილის N-24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. დადგენილების პროექტის თანახმად:**

ეხლი 1.

შევიდეს ცვლილება ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 აპრილის N-24 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 010250050.35.115.016266 04/05/2018 წ.) შემდეგი სახით:

1.რეგლამენტის მე-3-ე მუხლის მე-8-ე პუნქტის ,,ე‘’ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ე) ქალისა და მამაკაცის თანასწორობის ხელშეწყობის ღონისძიებათა დაგეგმვა და

დამტკიცება. ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნა;“

2. რეგლამენტის მე-113-ე მუხლის მე-6-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,6. ზეპირი შეკითხვის დასმის უფლება საკრებულოს წევრს აქვს საკრებულოს, კომისიის , დროებითი სამუშაო ჯგუფის ან ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს სხდომაზე.“

3. რეგლამენტის მე- 113-ე მუხლის მე-10-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,10. საკრებულოს წევრის ზეპირი შეკითხვები და მასზე პასუხები აისახება შესაბამისად, საკრებულოს , კომისიის , დროებითი სამუშაო ჯგუფის ან ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს სხდომის ოქმში.“

4. რეგლამენტის XVI^{1} -თავის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თავი XVI^{1}-ლენტეხის მუნიციპალური ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე საბჭო.“

5. რეგლამენტის 135^{1}-მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 135^{1}. ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნა.

ლენტეხის მუნიციპალიტეტში ქალისა და ბავშვთა საკითხებზე სისტემური და საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილი ქალისა და მამაკაცის თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიასთან კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად საკრებულო ქმნის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალურ საბჭოს.“

6. რეგლამენტის 135^{2} მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 135^{2}. ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს ფუნქცია

1. ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე საბჭო უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში დისკრიმინაციის დაუშვებლობას, სათანადო პირობების შექმნას ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებების, თავისუფლებისა და შესაძლებლობების რეალიზაციას, ხელსუწყობს დისკრიმინაციის თავიდან აცილებასა და აღმოფხვრას.

2. ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს შემადგენლობა, სტატუსი, ფუნქციები და უფლებამოსილება განისაზღვრება საკრებულოს ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საკრებულო. ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს შემადგენლობაში საკრებულოს წევრები შედიან ფრაქციათა და უფრაქციო წევრთა პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპით.

3.საბჭოვალდებულია ყოველწლიური ანგარიში გამოაქვეყნოს მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე, რომელიც ასევე ეგზავნება საქართველოს მთავრობის ქალისა და მამაკაცის თანასწორობის , ქალთა მიმართ ძალადობის უწყებათაშორის საკითხებზე მომუშავე კომისიას.

4.ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე საბჭო ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მერიის საქმიანობის კონტროლის მიზნით იყენებს ამ რეგლამენტითა და საბჭოს დებულებით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს.“

შენიშვნა დადგენილების პროექტთან დაკავშირებით არ ყოფილა.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე -13

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: : დამტკიცდეს დადგენილების პროექტი წარმოდგენილი სახით.

3. მოისმინეს: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული სამსახურის უფროსმა ტარიელ აფაქიძემ აღნიშნა, რომ პირველი დადგენილების - ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ -გათვალისწინებით - ცვლილება უნდა შევიდეს მერიის და მერიის სამსახურის დებულებებში. ამოღებული უნდა იქნას სიტყვა ,,გენდერი". სხვა ცვლილება არ შედის.

სხდომის თავმჯდომარემ ღია კენჭისყრაზე დააყენა დადგენილების პროექტები.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე -13

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტები:

1. ,,2025 წლისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ" ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N- 18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

2. ,,**ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – განათლების, კულტურის, სპორტის განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ .''**

3. ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ ''ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 სექტემბრის N-16 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

4. ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28-თებერვლის N-7 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

4. მოისმინეს: მერიის არქიტექტურის და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის მოადგილემ დემური ლიპარტელიანმა სხდომის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი -

,, 2025 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 20 თებერვლის N-ბ-97250511 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ".

მომხსენებელმა განმარტა, რომ სოფ. ცხუმალდში და სოფ. ბავარში გათვალისწინებული იყო მუავე წყლის კეთილმოწყობა, მაგრამ ეს პროექტი არ მოხერხდა და მოსახლეობის თხოვნით ეს პროექტი უნდა შეიცვალოს შიდა სამეურნეო გზების რეაბილიტაციით. (შესაბამისი დოკუმენტები თან ერთვის)

შენიშვნა საკითხთან დაკავშირებით არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ განკარგულების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე -13

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: შევიდეს ცვლილება - ,, 2025 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 20 თებერვლის N-ბ-97250511 განკარგულებაში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ საკრებულოს სოც. საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ონიანმა სხდომის წევრებს გააცნო საკითხი - გლაუკომით დაავადებული შერმადინ ლიპარტელიანზე ფინანსური დახმარების გაწევის თაობაზე. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ავადმყოფს მუდმივად სჭირდება ძვირადღირებული წამლები, ოჯახს ძალიან უჭირს და გამონაკლისის სახით ეთხოვოს მერს სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა.

საკრებულოს წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი აღნისნულ საკითხს.

გადაწყვიტეს: საკრებულოს წევრების ერთობლივი დადებითი გადაწყვეტილების გათვალისწინებით ეთხოვოს მუნიციპალიტეტის მერს შერმადინ ლიპარტელიანის დასახმარებლად გამონაკლისის სახით, შესაძლებლობის ფარგლებში გამოყოს სარეზერვო ფონდიდან გარკვეული თანხა.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა დამთავრდა 14 საათზე.

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი